ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5325115

ნომერი: AR1805431

თარიღი : 24.02.2021

გაცემის თარიღი : 15.03.2021

გაცნობის თარიღი : 15.03.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ექვთიმე ხელაძის ქუჩა N1; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კალანდარიშვილი პ/ნ 01015008724
- ალექსანდერ ჯაფარიძის 10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ვინაიდან ნაკვეთებზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) საცხოვრებელი ფუნქციის მქონე ობიექტი აღნიშნულ ზონაში საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, რისთვისაც პირველ რიგში საჭიროა მიმართოთ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge.
- ასევე ვინაიდან უშუალოდ საპროექტო მიწის ნაკვეთზე გადის ხაზოვანი ნაგებობა ს.კ N 01.04.596 საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის, შპს „ახალი ქსელები“-ს მიერ გაცემული თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებასთან დაკავშირებით და შესაბამისი დამოწმებული გრაფიკული მასალა (გენ-გეგმა).
- ვინაიდან მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთს და მასზე შესაძლებელია მხოლოდ საცხოვრებელი სახლის და დამხმარე შენობა-ნაგებობის განთავსება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შენობა არ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს ან დამხარე შენობას, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გადაიყვანოთ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად.
- წარმოადგინეთ განახლებული დოკუმენტაცია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.